

შპს ჯორჯიან ბიზნეს & ინვესტმენტ კონსალტინგ

ფინანსური ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ძირითადი საკმევინობა.....	5
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	5
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	5
4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6
5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები.....	7
6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	8
7. რისკების მართვა.....	8
8. საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....	9
9. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	10
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
11. მარაგები	10
12. ძირითადი საშუალებები	11
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	11
14. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი.....	12
15. ამონაგები.....	12
16. სხვა შემოსავლები	13
17. მიწოდების ხარჯები	13
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	14
19. სხვა ხარჯები.....	14
20. ფინანსური დანახარჯები	15
21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	15
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	16

შპს „შპს ჯორჯიან ბიზნეს & ინვესტმენტ კონსალტინგ“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	20,011	150,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	4,698,461	4,805,885
მარაგები	3	1,827,820	908,210
საგადასახადო აქტივები		40,562	590,998
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	-
		6,586,854	6,455,093
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	70,568	109,029
		70,568	109,029
მთლიანი აქტივები		6,657,422	6,564,122
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	1,069,227	727,482
საგადასახადო ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	6	1,644,196	3,118,606
გადასახდელი დივიდენდი		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		564,179	564,179
		3,277,602	4,410,267
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6	-	-
		-	-
მთლიანი ვალდებულებები		3,277,602	4,410,267
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,651,175	1,182,241
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		728,645	971,614
		3,379,820	2,153,855
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,657,422	6,564,122

დირექტორი  ლადო მეშველიანი


სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	7	918,064	12,761,327
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(895,555)	(11,947,688)
საერთო მოგება		22,509	813,639
სხვა შემოსავლები	8	-	116,233
მიწოდების დანახარჯები	9	-	(438,046)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(24,714)	(383,715)
სხვა ხარჯები	11	-	(2)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(35,377)	(102,489)
საოპერაციო მოგება		(37,582)	5,620
ფინანსური ხარჯი	12	(205,387)	(480,830)
მოგება დაბეგვრამდე		(242,969)	(475,210)
მოგების გადასახადი		-	(18,576)
პერიოდის მოგება		(242,969)	(493,786)

დირექტორი  ლადო მეშველიანი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022	964,445	1,737,917	2,702,362
კაპიტალის ზრდა	267,340	-	267,340
კაპიტალის შემცირება	(49,544)	-	(49,544)
პერიოდის მოგება	-	(661,040)	(661,040)
გაცემული დივიდენდი	-	(105,263)	(105,263)
ნაშთი 31.12.2023	1,182,241	971,614	2,153,855
კაპიტალის ზრდა	1,714,266	-	1,714,266
კაპიტალის შემცირება	(245,332)	-	(245,332)
პერიოდის მოგება	-	(242,969)	(242,969)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2024	2,651,175	728,645	3,379,820

დირექტორი  ლადო მეშველიანი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

მომზადებულია პირდაპირი მეთოდით

(თანხები მოცემულია ლარში)	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	197,415	14,548,939
ფულადი სახსრების სხვა შემოსავლები	404,391	193,669
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(428,383)	(13,500,825)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(43,035)	(266,686)
გადახდილი მოგების გადასახადი		(18,576)
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(19,833)	(1,482,808)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	110,555	(526,287)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,513,116	239,340
სასესხო ვალდებულების ზრდა	-	10,654,592
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(1,546,406)	(9,833,079)
გადახდილი პროცენტები	(205,387)	(480,830)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(238,677)	580,023
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	(128,122)	53,736
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(1,867)	(24,242)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	150,000	120,506
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	20,011	150,000

დირექტორი  ლადო მემველიანი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან ბიზნეს & ინვესტიმენტ კონსალტინგ, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წლის 24 თებერვალს. კომპანიის მფლობელები არიან სულხან პაპაშვილი 01018001248 72.5% ; გიორგი კუხალიშვილი 42001000147 5%; დავით მეშველიანი 01005000832 15%; ლადო მეშველიანი 01005008069 7.5%.

კომპანიის იურიდიულია მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ატენის ქ., N6/8, ბ. N66. კომპანიის საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს წარმოადგენს იურიდიული მისამართი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ბურღულეულითა და მარცვლეულით.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კომპანიის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 10 ივლისს.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ჩვეთა და დაგროვილი გაუფასურება. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივის თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	3-6
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-9
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5

3.3 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება პირველი შემოსვლა, პირველი გამოსვლა ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.6 მოგების გადასახადი

საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია გარდა ფინანსური ინსტიტუტისა (როგორც არის ბანკი, სადაზღვევო კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ლომბარდი) ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი სანამ არ მოხდება ან დივიდენდის გზით მოგების განაწილება ან განაწილებად მიჩნევა.

დივიდენდის განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება და იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმას.

აგრეთვე შეღავათიანი დაბეგვრის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილი ავანსები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისათვის.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

3.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.8 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელის მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელის მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

3.9 შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.10 ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავდა:

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2024 ლარი	2023 ლარი
ფული სალაროში	0	0
ფული ბანკში	20011	150000
სულ	20,011	150,000


5. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და ატარებს ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს რომელიც მას სჭირდება იმ რწმუნებისთვის, რომ მას გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

6. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

დირექტორი  ლადო მეშველიანი

შენიშვნა 1**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	20,011	150,000
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
სულ	20,011	150,000

შენიშვნა 2**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	909,866	1,019,290
გაცემული ავანსები	3,788,595	3,786,595
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	-	-
სულ	4,698,461	4,805,885

სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული.

შენიშვნა 3**მარაგები**

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	32,094	32,094
სათადარიგო ნაწილები	-	-
საინვესტიციო უძრავი ქონება	1,795,726	876,116
სხვა მარაგები	-	-
სულ	1,827,820	908,210

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 895 555 ლარი (2023 წელს 11,947,688 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2023 წელს 0 ლარი). კომპანიის მთელი არსებული უძრავი ქონება დატვირთულია გირავნობით სს საქართველოს ბანკისგან აღებული სესხის სანაცვლოდ.

შპს „შპს ჯორჯიან ბიზნეს & ინვესტმენტ კონსალტინგ“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა: 4
ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2023	-	-	-	9,907	222,007	-	231,914
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	(22,217)	-	(22,217)
31 დეკემბერი 2024	-	-	-	9,907	199,790	-	209,697
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2023	-	-	-	(7,776)	(115,109)	-	(122,885)
პერიოდის ცვეთა	-	-	-	(2,131)	(14,113)	-	(16,244)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	-	-	(9,907)	(129,222)	-	(139,129)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	-	-	-	2,131	106,898	-	109,029
31 დეკემბერი 2024	-	-	-	-	70,568	-	70,568

ჯგუფის ძირითადი საშუალებებიდან არცერთზე არ მოქმედებს საგადასახო გირავნობა

შენიშვნა 5
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	822,574	452,882
მიღებული ავანსები	246,653	274,600
გადასახდელი ხელფასი	-	-
სულ	1,069,227	727,482

შენიშვნა 6

მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი

მოკლევადიანი სესხები	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი სესხები	(1,644,196)	(3,118,606)
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-
გადასახდელი პროცენტი	-	-
სულ მოკლევადიანი სესხები	(1,644,196)	(3,118,606)

გრძელვადიანი სესხები	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი სესხები	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები	-	-

სულ სესხები	(1,644,196)	(3,118,606)
--------------------	--------------------	--------------------

კომპანიის მოკლევადიან სესხებს წარმოადგენს ბანკებისგან მიღებული სესხები, რომლებიც დენომინირებული დოლარში. საპროცენტო განაკვეთი დოლარში დენომინირებულ სესხებზე შეადგენს წლიურ 13.883%-ს. სესხების დაფარვის ვადა მერყეობს 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით და ჯგუფის არსებული და სამომავლო უძრავი ქონებით.

შენიშვნა 7

ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	918,064	12,761,327
მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები	-	-
სულ	918,064	12,761,327

შენიშვნა 8

სხვა შემოსავლები

	2024 წელი	2023 წელი
საპროცენტო შემოსავლები	-	45,384
სხვა შემოსავალი	-	70,849
სულ	-	116,233

შენიშვნა 9

მიწოდების ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ტრანსპორტირების ხარჯი	-	(438,046)
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი	-	-
სულ	-	(438,046)

შენიშვნა 10

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	(2,602)	(213,143)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(19,022)	(20,226)
ქონების გადასახადის ხარჯი	-	(6,645)
მივლინების ხარჯი	-	-
საბანკო ხარჯი	(1,863)	(73,937)
დაცვის ხარჯი	-	-
დაზღვევის ხარჯი	-	(1,640)
კომუნიკაციის ხარჯი	-	-
სამეურნეო ხარჯი	-	-
საკონსულტაციო ხარჯები	-	(7,992)
საკანცელარიო ხარჯი	-	(462)
იჯარის ხარჯი	-	-
საექსპლუატაციო ხარჯები	-	-
ძირითადი საშუალებების რემონტი	-	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(1,207)	(59,670)
სულ	(24,695)	(383,715)

შენიშვნა 11

სხვა ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
დაზიანებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-
სხვა ხარჯები	-	(2)
სულ	-	(2)

შენიშვნა 12

ფინანსური დანახარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(205,387)	(480,830)
სულ ფინანსური დანახარჯები	(205,387)	(480,830)

შენიშვნა 13

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: სულხან პაპაშვილი 01018001248 72.5% ; გიორგი კუხალეიშვილი 42001000147 5%; დავით მეშველიანი 01005000832 15%; ლადო მეშველიანი 01005008069 7.5%. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფ/პ სულხან პაპაშვილი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	2,551	84,184
სულ	2,551	84,184

შენიშვნა 14

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდი.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დამატებით აღარ აუღია სესხი. ამასთან იგი განაგრძობდა არსებული სესხების დაფარვას გრაფიკის მიხედვით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სესხები დენომინირებული იყო დოლარში, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო კომპანიამ მიიღო მნიშვნელოვანი ზარალი, არარეალიზებული ზარალი საკურსო სხვაობის გამო.